

## ოქმი N13

### ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2017 წელი, 22 მაისი  
ქ. ოზურგეთი, 16<sup>00</sup>სთ

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:  
ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: მ.მახარობლიძე, ლ.მგელაძე,  
ლ.ბიგვავა. ლ.თოიძე, ი.საჯაია, ნ.ტაბატაძე,  
ფრაქციის თავმჯდომარეები: კ.კვაჭაძე, თ.ნადირიძე, თ.სალუქვაძე.  
საკრებულოს წევრები: ვ. ჩიგოგიძე, გ.ძიმისტარიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს  
უფროსი ლ. ჭელიძე, ქ.ოზურგეთის მერი,საკრებულოსა და მერიის  
პასუხისმგებელი პირები, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიისა და  
საზოგადოების წარმომადგენლები.

**არ ესწრებოდნენ:** ნ.ორაგველიძე, ნ.შარაშანიძე.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ნ.გოგუაძე.

მან სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, ასევე არასამთავრობო  
ორგანიზაციებიდან შემოსული რეკომენდაციები.

გ. ძიმისტარიშვილმა ითხოვა სიტყვა და აღნიშნა,რომ სამინისტროს ეს  
წინადადება კანონდარღვევაა. ასეთი აშკარა დარღვევით ნუ მივიღებთ ამ  
წინადადებას, გადავდოთ საკითხი და არ დავუჭიროთ მხარი საკუთარი ქალაქის  
გაუქმებას მოსახლეობასთან კონსულტაციებამდე მაინც.

თ.სალუქვაძე-საკითხი არის სენსიტიური, განვიხილოთ და შევეცადოთ  
სახელმწიფოებრივად ვიაზროვნოთ.

დღის წესრიგი დამტკიცდა 8 ხმით 4 წინააღმდეგ.

### დღის წესრიგი

1. ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების გაერთიანების  
საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ წინადადების  
განხილვის თაობაზე.

**მომხსენებელი:** ნინო გოგუაძე

დეპუტატმა ლ.მგელაძემ სხდომის თავმჯდომარეს სთხოვა კიდევ ერთხელ  
გაეცნო სხდომაზე დამსწრე საზოგადოებისათვის სამინისტროდან შემოსული  
წერილის შინაარსი.

**მომხსენებელმა ნ. გოგუაძემ** - ითხოვა საკითხის განხილვის დაწყება და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან შემოსული წინადადება მუნიციპალიტეტების გაერთიანების შესახებ.

**აზრი გამოთქვას:ბ.სიორიძე**-ჩემი თხოვნაა ცივილური ფორმით მივიღოთ გადაწყვეტილება ხმაურის გარეშე. სამი წლის მანძილზე მუხლჩაუხრელად ვშრომობდით ოზურგეთის კეთილდღეობისათვის. თუ ჩვენ ვიქნებით სუბიექტურები, მაშინ ამ წინადადებას მხარს არ დავუჭერთ, თუ ვიქნებით ობიექტურები, მაშინ მივხვდებით, რომ გაერთიანება ჩვენი მოსახლეობისათვის იქნება უკეთესი. ჩვენს მუნიციპალიტეტებში არაერთი ერთი და იგივე სამსახური მუშაობს, რომელიც გვაზარალებს, მე გთხოვთ ყოველგვარი ხმაურის გარეშე მივიღოთ გადაწყვეტილება.

**ლ. მგელაძე** - შესავალშივე ჩანს, რომ 2014 წელს შექმნილი თვითმმართველობა არის ძალიან კარგი. თუმცა წერილში არ ჩანს ის სიკეთეები. დეცენტრალიზაციას ვაქებთ და მივდივართ ცენტრალიზაციისაკენ, ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი.მე მოვუწოდებ საკრებულოს წევრებს მხარი არ დავუჭიროთ ამ წინადადებას, ვთხოვთ პრესას გამოაქვეყნოს სია ვინ დაუჭირა მხარი ქალაქის სტატუსის გაუქმებას.

ამ მოთხოვნას დეპუტატების ნაწილის აღშფოთება მოჰყვა.

**თ. სალუქვაძე** - ძალიან სამწუხაროა, რომ რამდენიმე დღეა მესმის არასახარბიელო დამოკიდებულება ადამიანებიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მადლობა მერიის ხელმძღვანელს და იმ ადამიანებს, ვინც ნულიდან ააწყო ყველაფერი. რეალურად თუ ჩვენ გადავხედავთ ამ სამი წლის ნამუშევარს, თვითმმართველობამ ბევრი რამ გააკეთა, თუმცა თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა, ვერ შედგა თვითმმართველობა.ინსტიტუციამ გაჭედა. გაყოფა თვითმმართველობის გამლიერების გარანტი ვერ გახდა. აზრთა სხვადასხვაობა არის სიჯანსაღე. 25 წელი ველოდი ისეთ ხელისუფლებას, რომელსაც გამბედაობა ეყოფოდა რეფორმის ჩატარების. პროგრამა დაიდება და იქნება საჯარო განხილვები. ჩემგან რას ელით რეფორმისტულ აზრს არ დავუჭირო მხარი? მე სულით და ხორციით ქალაქელი ვარ და ჩვენ უნდა განვავითაროთ ქალაქი.მთავრობა ამბობს - მე ასეთი განშლილი და განხორციელებული თვითმმართველობა არ მაწყობს,მე მინდა ჩავშალო თვითმმართველობაო.

**გ. დიმიტარიშვილი** - მე ვერ დავეთანხმები იმას, რომ თითქოს ეს არის წინადადგმული ნაბიჯი. მან წარმოადგინა ფოტოკოლაჟი იმ დეპუტატების (გორსა და თელავში), რომლებმაც მისი თქმით „ხარაკირი“ გაუკეთა საკუთარ ქალაქებს სტატუსის ჩამორთმევით. ქალაქს აქვს თავისი სპეციფიკა ბინების, კანალიზაციის და სხვა კუთხით. ხარჯები არის შესამცირებელი, რასაც მე ყოველთვის ვამბობდი. მთავრობა თვითმმართველობების გაერთიანებაზე მიდის არჩევნების გამო. არ არის გამორიცხული, „ოცნების“ ხელმძღვანელობამ უარი თქვას გაერთიანებაზე. თუ ეს ასე არ მოხდება, პრეზიდენტი ალბათ გამოაცხადებს არჩევნების დღეს და ეს წინადადება მაინც გაუქმდება.

**მ. მახარობლიძე** - ყველანაირად ვემხრობი ამ წინადადებას.

**თ. სალუქვაძე** - ძალიან არაჯანსაღი კონკურენციის ფაქტები გამოჩნდა.

**ლ. მგელაძე** - რა კონკურენციაზეა საუბარი, ახსენით.

**თ. ტრაპაიძე/არასამთავრობო/** - სამინისტროს წერილში ნათლად ჩანს ტყუილები. თურმე ქალაქების მუშაობა არაეფექტური იყო. საუბარი იყო ა(ა)იპ-ების გაორებაზე, ასეთი ა(ა)იპ-ების გაერთიანებას ჩვენ კანონი არ გვიშლიდა, გამოდის რომ დეცენტრალიზაციის სახელით ვიღებთ ცენტრალიზაციას, რაც მთავარი და დიდი დარღვევაა არ გამართულა კონსულტაციები მოსახლეობასთან.

**ო. რევიშვილი** - ჩემი გამოსვლა მინდა დავუთმო არგუმენტებს. მე შეურაცხყოფილი ვარ იმ წერილით, რომელიც სამინისტრომ მოიწერა, რომ ქალაქის და სოფლის დეპუტატები არიან წარუმატებელი, თქვენ თვლით თავს წარუმატებლად? თვითმმართველობა კარგია, როცა ახლოსაა ადამიანებთან, გაერთიანებით თქვენ შორდებით ხალხს. თვითმმართველობა არის ჩვენი უფლება, რა ღირს თქვენი უფლება დეპუტატებო? ამბობენ, რომ ადამიანების ჩართულობა არ არის - ეს არის ტყუილი, რადგანაც ქალაქის მუნიციპალიტეტში 5 პეტიციაა შესული. გთხოვთ თქვენივე ამომრჩეველთან ჩაატაროთ გამოკითხვა. ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვებით ჩანს, რომ მოქალაქეები ბევრად უარყოფითად არიან განწყობილი ამ რეფორმისადმი. ისე გამოდის, რომ ჩვენ ვიძახით, კარგები ხართ და იყავითო, თქვენ იმახით არა ვართ კარგები და უნდა წავიდეთო. ვინ არის გარანტი, რომ ბიუჯეტი იგივე დარჩება? ევროპაში 100 ათას მოსახლიანი მუნიციპალიტეტი არ არსებობს, რატომ ვბრუნდებით 2006 წელში?

**ბ. სიორიძე** - 2000 მაცხოვრებლიანი ამბროლაური, სამტრედია და სხვა ქალაქები უნდა იყოს თუ არა თვითმმართველი?

**ო. რევიზილი** - რა თქმა უნდა უნდა იყოს.

**მადონა ბერიძე /სამართლიანი არჩევნები/-**  
მნიშვნელოვანია ის, რომ არ მომხდარა კონსულტაციები მოსახლეობასთან. თუმცა ჩემთვის გაუგებარია, როცა მერი ამბობს, რომ მათი მუშაობა იყო ეფექტური, მაგრამ ეთანხმება გაერთიანებას.

**ი. პაპავა** - როცა საჯარო დაწესებულებაზე საუბარი, უნდა მოხდეს კანონის დაცვა, როცა მთავრობა არის ინიციატორი, წინადადებებს წარადგენს სამინისტრო, მაგრამ მას უნდა ახლდეს დოკუმენტაცია, მაგ: საჯარო კონსულტაციების გამართვის, ამიტომ საკრებულოს მოვუწოდებ ნუ მივიღებთ ამ წინადადებას მოსახლეობაში კონსულტაციების ჩატარებამდე.

**ლ. ბიგვავა** - მე მხარს ვუჭერ ამ პროექტს. აქ გაჟღერდა, რომ გაიზარდა საკუთარი შემოსავლები, მაგრამ ფაქტობრივი ანალიზი არ გაკეთდა. თუმცა 2016 წელს ადგილობრივი შემოსავლები 2015 წელთან შედარებით 83%-ით გაიზარდა, მაგრამ ეს ზრდა იყო არაბუნებრივი. ზრდა ერთ-ერთი ორგანიზაციის დაჯარიმებამ და სამემოსავლო გადასახადების ადგილზე დატოვებამ გამოიწვია. ეს პროექტი სოფლებს აძლევს ადგილზე მეტ თვითმმართველობას. ქალაქში მისი რესურსიდან გამომდინარე განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის განვითარების მეტ რესურსს ამ ეტაპზე მე ვერ ვხედავ. შემოსავლები, რომელიც ქალაქის თვითდაფინანსებისათვისაა საჭირო, არ გვექნება. მე ამიტომ ვუჭერ მხარს ამ პროექტს.

**მ. სალუქვაძე/არასამთავრობო/-ინვესტიცია**  
რომ განეხორციელებინა დაჯარიმებულ ორგანიზაციას, მაშინ რამდენით გაიზრდებოდა ბიუჯეტი?

**ლ. მგელაძე** - გაერთიანების შემთხვევაში თავს ვირჩინებ ქალაქი? შემოსავლები გაიზრდება?

**ლ. ბიგვავა** - გაიზრდება თემების ხარჯზე.

**მარეხი გობრონიძე/არასამთავრობო/-ქალაქ**  
ოზურგეთის მოსახლეობამ იგრძნო თვითმმართველობის დადებითი მხარეები და ისინი ჩვენი გამოკითხვით წინააღმდეგი არიან გაერთიანების.

**ლ. მუჯანაძე/არასამთავრობო /** - დადებითი და უარყოფითი მხარეები რომ დავინახოთ, დეცენტრალიზაცია ბოლომდე უნდა მიიყვანოს ხელისუფლებამ, მაგრამ აქ საუბარია ქალაქის სტატუსის შენარჩუნებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ წინადადების მოწონებას კენჭი უყარა.


მომხრე: 8 დეპუტატი - ლ.ბიგვავა, მ.მახაროზლიძე, კ.კვაჭაძე, ნ.ტაბატაძე, ი.საჯაია,  
თ.სალუქვაძე, ლ.თოიძე, ვ.ჩიგოგიძე

წინააღმდეგი: 4 დეპუტატი - გ. ძიმისტარიშვილი, თ. ნადირიძე, ნ.გოგუაძე,  
ლ.მგელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ წინო გოგუაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და  
სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

წინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა